

გარემოს დაცვა და გენდერული თანასწორობა

გზამკვლევი სკოლის მოსწავლეებისთვის



სარჩევი

I.	სარჩევი	2
II.	რატომ უნდა ვიცოდეთ მეტი გენდერის შესახებ	3
III.	ტერმინების განმარტება - ვერკვევით და ვმსჯელობთ.....	4
IV.	ვიცოდეთ კანონები	8
V.	გენდერული თანასწორობა როგორც მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანი	9
	რა მდგომარობაა საქართველოში	10
VI.	გარემოს დაცვა და გენდერი	12
VII.	დანართი N1.....	16
VIII.	გამოყენებული ლიტერატურა	17

რატომ უნდა ვიცოდეთ მეტი გენდერის შესახებ

მეტის ცოდნა მეტი პატივისცემაა ორივე სქესის წარმომადგენლის მიმართ, მეტი, და რაც მთავარია - თანაბარი. თუკი გავიაზრებთ, რომ ქალსა და მამაკაცს თანაბარი უფლებები აქვთ საკუთარი სურვილების რეალიზაციისთვის, შევიძენთ თავისუფლების შეგრძნებას, მარტივად გადავლახავთ ცხოვრებისეულ ბარიერებს, ურთიერთდახმარების სურვილი გავგიჩნდება და, უბრალოდ, მეტი ცოდნა უკეთეს ადამიანებად გვაქცევს.

წინამდებარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისათვის მომზადდა. სახელმძღვანელო განმარტავს გენდერისა და გენდერული თანასწორობის არსს, გაბატონებული სტერეოტიპების გავლენას ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის პიროვნულ ურთიერთობებზე, განათლებაზე, კარიერულ არჩევანზე; გაეცნობით სტატისტიკურ ინფორმაციას გენდერულ საკითხებზე, რომელმაც შესაძლოა ბევრი კითხვა გააჩინოს: რატომ აქვთ ქალებს მამაკაცზე დაბალი ხელფასი? რატომ უადვილდებათ მამაკაცებს ბიზნესის წამოწყება? არის თუ არა მხოლოდ ქალის საქმე სამზარეულოში ტრიალი და ბავშვების აღზრდა? აქვე მიიღებთ ინფორმაციას, თუ როგორ არის გადანაწილებული გენდერული როლები მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და რაც ძალიან საინტერესოა - რა კავშირია გენდერსა და გარემოს დაცვას შორის.

რა ინფორმაციას ფლობენ თქვენი თანატოლები, მეგობრები და თემის სხვა წევრები გენდერის შესახებ? ამაში საგანგებოდ თქვენთვის შემუშავებული კითხვარი დაგეხმარებათ. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე თავად განსაზღვრეთ, ვისთან წამოიწყებთ საუბრებს გენდერზე, ვის ჩაუტარებთ პრეზენტაციას და გადამზადების კურსს/ტრენინგს, რომელშიც ეს სახელმძღვანელო უთუოდ დაგეხმარებათ. სამიზნე ჯგუფის არჩევაში კი ნუ შეიზღუდებით. ტრენინგის ჩატარება შეგიძლიათ არა მარტო თანატოლებისთვის (თანაკლასელები, მეგობრები), არამედ მასწავლებლებისთვისაც, ან სულაც გასცდით სკოლის კედლებს და აუხსენით ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებს, ან თქვენთვის საინტერესო სხვა ჯგუფებს თუ რატომ უნდა ვიცოდეთ მეტი გენდერის შესახებ.

დაბოლოს, წარმატებას გისურვებთ თქვენს საქმიანობაში, რაც აუცილებლად შეიტანს წვლილს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზნის, გენდერული თანასწორობის მიღწევაში.

ტერმინების განმარტება - ვერკვევით და ვმსჯელობთ

ტერმინი **გენდერი** (ინგლ. Gender; ლათ. Genus - გვარი) სოციალური სქესის აღსანიშნავად გამოიყენება. თუკი სქესი მამაკაცისა და ქალის ბიოლოგიურ განსხვავებაზე მიუთითებს, გენდერი ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს მოიცავს. ანუ ეს არის განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური ფაქტორებით. ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებით, გენდერული როლები (როლები, რომლებსაც საზოგადოება ანიჭებს ქალსა და მამაკაცს; მოლოდინი, რომელიც საზოგადოებას აქვს ქალისა და მამაკაცისგან) შესაძლოა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შეიცვალოს.

ტერმინი **გენდერული თანასწორობა** (გენდერული ბალანსი) ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია და ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. გენდერული თანასწორობა საშუალებას აძლევს ორივე სქესის წარმომადგენელს მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად ისარგებლოს საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.¹ თუმცა, არსებობს ადგილები, სადაც მამაკაცს მეტი შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს განათლება, დაიწყოს მისთვის სასურველი სამსახური, ვიდრე ქალს. ეს კი, გენდერული უთანასწორობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს !

კითხვები და მინიმუმები მსჯელობისათვის:

- *მოდით, გავიხსენოთ სიტუაცია, როდესაც ჩვენს გარშემო გენდერული თანასწორობის პრინციპები დაირღვა.*
- *როგორც წესი, მასწავლებლებს შორის ქალბატონები ჭარბობენ. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?*

გენდერული თანასწორობა გულისხმობს მამაკაცისა და ქალის თანაბარ უფლებიანობას, თანაბარ შესაძლებლობებსა და უფლება-მოვალეობებს.

თამაში „ჭეშმარიტი თუ მცდარი“

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში, გენდერულ როლებზე ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული წარმოდგენა აქვთ. მოდით, გავცეთ პასუხი ჩვენი შეხედულებისამებრ, ჭეშმარიტია ცხრილში მოყვანილი მოსაზრება თუ მცდარი, დავადგინოთ მიზეზები და ვცადოთ მათი ახსნა.

¹ ხომერიკი ლელა. გენდერი და პოლიტიკა : ინტენსიური სემინარი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

პასუხები მოკლე ინფორმაციასთან ერთად მოცემულია სახელმძღვანელოს დანართში N1.

მოსაზრება	მართალია	მცდარია
საქართველოს პარლამენტში ქალთა და მამაკაცთა წარმომადგენლობა თანაბარია.		
მამაკაცი ვალდებულია ფინანსურად უზრუნველყოს ოჯახი.		
ოჯახური ძალადობის ფაქტები უნდა დარჩეს ოჯახის შიგნით; მათი გატანა ოჯახის გარეთ არის ოჯახის ღალატი.		
სკოლაში მოსწავლე ბიჭებისა და გოგონების რაოდენობა თანაბარია.		
ახალგაზრდების თანაბარი რაოდენობა სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში.		

ხშირად საუბრობენ გენდერული სტერეოტიპებზეც, რომელიც წარმოადგენს გაბატონებულ შეხედულებას ქალისა და მამაკაცის განსხვავებული როლების შესახებ, ანუ, ეს არის როლები, რომლებსაც საზოგადოება მიაწერს ქალსა და მამაკაცს და ხაზს უსვამს მათ შორის განსხვავებას. ხშირ შემთხვევაში სწორედ საზოგადოება განსაზღვრავს თუ როგორ უნდა იქცეოდეს ქალი და მამაკაცი ამა თუ იმ კონკრეტულ მოცემულობაში, რაც საბოლოო ჯამში მათ გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს.

კულტურისა და საზოგადოების ცვლილებასთან ერთად იცვლება ქალისა და მამაკაცის სოციალური როლიც. საზოგადოების შეხედულებების გამო ხშირ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ოჯახის საქმეები და შვილების აღზრდა ქალის საქმეა, ხოლო მამაკაცს ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფის როლი აკისრია - ის არის ოჯახის მარჩენალი და ბატონ-პატრონი. შესაძლოა გსმენიათ, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სახელით გამოცემულ საკანონმდებლო აქტებში გამოყენებული ტერმინის „ოჯახის უფროსის“ სხვა უფრო ნეიტრალური ფორმით შეცვლა მოითხოვა. სახალხო დამცველის აზრით, თანამედროვეობაში აღნიშნული ტერმინის გამოყენება ამყარებს ქალის შესახებ სტერეოტიპულ წარმოდგენებს, რომ ქალი ოჯახის მეორეხარისხოვანი წევრია.²

² <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/zogadi-winadadeba2/saqartvelos-saxalxo-damcvelma-normatiul-aqtebshi-gamoyenebuli-termini-odjaxis-ufrosi-diskriminaciis-wamaxaliseblad-miichnia.page>

მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასება გენდერულ როლებთან დაკავშირებით – კვლევის შედეგები

2013 წელს, შვედეთის განვითარების ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭრით, UNDP, UNEPA, UN Women ინიციატივით, პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასება გენდერულ როლებთან დაკავშირებით.

- გამოკითხულთა 88% ფიქრობს, რომ კაცი უნდა იყოს ოჯახის მარჩენალი. ქალების 62% და კაცების მხოლოდ 37% მიიჩნევენ, რომ ქალი და კაცი თანაბრად უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებას ოჯახში.
- გამოკითხულთა 45% მიიჩნევენ, რომ თუ ოჯახში მხოლოდ ერთი შვილია, ჯობს, რომ ეს იყოს ვაჟი. ბიჭებს ასევე ენიჭებათ უპირატესობა განათლებისა და საკუთრების უფლების კუთხით.
- 57% მიიჩნევენ, რომ კაცს უფრო დიდი შანსი აქვს იპოვოს სამსახური მაღალი რანგის მენეჯერის პოზიციაზე.
- საპრეზიდენტო კანდიდატის შემთხვევაში, კაცს ანიჭებს უპირატესობას გამოკითხულთა 68%.

კითხვები და მინიშნებები მსჯელობისათვის:

- მოდით, ჩამოვთვალოთ „ქალური“ და „მამაკაცური“ პროფესიები. თვლით, რომ ეს პროფესიები შესაძლოა ორივე სქესისთვის იყოს შესაფერისი?
- რა როლი აკისრია მამაკაცს საზოგადოებაში? ქალს? შესაძლებელი არის თუ არა აღნიშნული გენდერული როლების გაცვლა?
- თქვენი აზრით, სატყეო სამუშაოები, მათ შორის მერქნის მოპოვება, დამუშავება, უპირატესად რომელი სქესის საქმიანობაა და რატომ?

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია (ლათ. Discriminatio — განსხვავება) ნიშნავს ადამიანების უთანასწორო, უსამართლო მოპყრობას მისი სქესიდან გამომდინარე. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შედეგად ადამიანს ეზღუდება სხვადასხვა სახის ქმედება (მაგ. აზრის გამოთქმა), ის უპატივცემულობას, ხშირად კი სოციალურიდან გარიყულად გრძნობს თავს და ეს ყველაფერი მისი სქესის „ბრალია“ ხოლმე.

კითხვები და მინიშნებები მსჯელობისათვის:

- დისკრიმინაციას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ეროვნების, რელიგიური მრწამსის, ასაკის, სოციალური სტატუსის და ა.შ. მიხედვით. მოიყვანეთ დისკრიმინაციის მაგალითები თქვენთვის ცნობილი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად გვესმის ტერმინი **სექსიზმი**, რომელიც 1918 წელს შემოიღო იუნესკომ (UNESCO). ეს ფაქტობრივად არის მსოფლმხედველობა, რომელიც ქადაგებს სქესთა

არათანაბარ უფლებებსა და მდგომარეობას. იგი შესაძლოა გამოვლინდეს სიძულვილში, შეუფასებლობაში ან წინასწარგანწყობებში მთლიანად შესაბამისი სქესის წარმომადგენლებთან მიმართებაში (მიზოგინია ან მიზანდრია), ან შესაბამისი სქესის მისამართით სტერეოტიპულ მსჯელობებში (მაგალითად, კაცი კაცური უნდა იყოს, ქალი კი - ქალური). სექსიზმის იდეოლოგიის გამზიარებელ ადამიანს სექსისტი ეწოდება.³

სექსიზმის დეფინიციიდან გამომდინარე, გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლი შეიძლება გახდეს როგორც მამაკაცი, ასევე, ქალი. თუმცა, მსოფლიოში გაბატონებულ კულტურათა უმრავლესობა პატრიარქალურია და შესაბამისად, სექსიზმის მსხვერპლნი უფრო ხშირად ქალები ხდებიან.

სექსისტური ფრაზები

ჩაიკითხეთ ფრაზები, რომლებიც ალბათ კარგად არის თქვენთვის ნაცნობი, ხშირად გესმით ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა იშვიათად თუ გიფიქრიათ, რომ ეს ფრაზები შინაარსობრივად დისკრიმინაციული და სექსისტურია. გაიხსენეთ სხვა ფრაზებიც, რომლებიც ანალოგიური ხასიათისაა.

- ქალს საჭესთან რა უნდა?
- მათემატიკას ბიჭის ჭკუა სჭირდება...
- რა გოგოსავით გაცვია
- დედიკოს ბიჭო
- ქალაჩუნა
- ქალის ადგილი სამზარეულოშია
- კაცები ვერ იქნებიან ექთნები. ისინი მხოლოდ ექიმები თუ იქნებიან
- მამაკაცები/ვაჟები უფრო ზარმაცები არიან და მოუწესრიგებლები, ვიდრე ქალები/გოგონები
- გოგონას რა უნდა ჯარში
- გოგონა სადამოს სახლში უნდა იჯდეს
- მამაკაცმა უნდა არჩინოს ოჯახი
- ქალმა უნდა მიხედოს შვილებს

სააზოვნო კითხვები და მინიშნებები:

- *გაიხსენეთ სექსიზმის შემთხვევები, რომელსაც თავად შესწრებიხარ.*
- *რატომ უკავშირდება სექსიზმი უპირატესად ქალთა ჩაგვრას?*

³ ლგბტ ჟურნალისტიკაში, ავტ. შორენა გაბუნია, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“, თბილისი, 2013

ვიცოდეთ კანონები

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად „ყველა ადამიანი დაბადებით და კანონის წინაშე თანასწორია, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. ამგვარი ფორმულირება აბსოლუტურად ესადაგება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის“ შესაბამის მუხლებს, სადაც ნებისმიერი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვაზეა საუბარი.⁴

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომლის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობა და სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.⁵ მოგვიანებით, 2014 წელს დამტკიცდა საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.⁶ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორობის უზრუნველყოფა ასევე ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი დოკუმენტებია 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა⁷ და ასევე, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა.⁸

ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, გენდერული თანასწორობა საერთაშორისო კანონმდებლობისა და აქტების საშუალებით რეგულირდება. გთავაზობთ ჩამონათვალს (დოკუმენტების მიღების წლების მიხედვით):

- (1) *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წ;*
- (2) *კონვენცია ქალის პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1952 წ;*
- (3) *დეკლარაცია საგანგებო სიტუაციებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალებისა და ბავშვების დაცვის შესახებ, 1974 წ;*
- (4) *კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) 1979;*
- (5) *ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაცია, 1993 წ;*
- (6) *პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა, 1995 წ;*
- (7) *რეზოლუცია 1325 ქალთა მშვიდობა და უსაფრთხოება, 2000 წ;*
- (8) *გაერთიანებული ერების ათასწლეულის დეკლარაცია MDG 2000-2015 წწ;*

⁴ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1080890>

⁵ <http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/kanonmdebloba/erovnuli-dokumentebi-wom>

⁶ <http://www.ombudsman.ge/ge/Human-Rights/erovnuli-kanonmdebloba>

⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622>

⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879>

(9) გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ შემუშავებული რეზოლუცია 66/130 ქალები და პოლიტიკაში მონაწილეობა 2011 წ. და სხვა.

ამდენად, აშკარაა, რომ ქალთა და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უკავშირდება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას.

გენდერული თანასწორობა როგორც მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანი

2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო მიზნების ჩამონათვალი, რომლებიც სიღარიბის დაძლევა, პლანეტის დაცვასა და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფას ემსახურება. ეს ჩამონათვალი ახალი მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილია. მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან თითოეულს თავისი ნიშნული (ერთგვარი სამიზნე) აქვს, რომლებიც მომდევნო 15 წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს. მიღწეული შედეგების გასაზომად ყოველი ნიშნულისთვის განსაზღვრულია ინდიკატორები. მართალია, გენდერული თანასწორობის ელემენტი ყველა ამ მიზანშია გათვალისწინებული, თუმცა, მე-5, როგორც ცალკე მდგომი და დამოუკიდებელი მიზანი, უშუალოდ „გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა თუ გოგონას გაძლიერებას“ ეძღვნება. აღნიშნული მიზანი 9 ნიშნულს ანუ სამიზნე დებულებას მოიცავს, მათ შორისაა ქალების და გოგონების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრა; ქალების და გოგონების მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოფხვრა; საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორცაა, ადრეული, იძულებითი და ბავშვთა ქორწინება; ქალების სრული, ეფექტიანი მონაწილეობა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ლიდერობისთვის თანაბარი შესაძლებლობების არსებობა.

კითხვები და მინიშნებები მსჯელობისათვის:

- მაგალითისთვის მოყვანილია ერთ-ერთი მიზანი (#6), რომელიც ასევე შეიცავს გენდერის კომპონენტს. მოდით, გადავხედოთ სხვა მიზნებს და გავიაზროთ, როგორ შეიძლება გენდერული თანასწორობა შინაარსობრივად დაუკავშირდეს თითოეულ მათგანს.

მიზანი #6: სუფთა წყალი და სანიტარია

ერთ-ერთი ნიშნულის მიხედვით 2030 წლისთვის უნდა მივაღწიოთ:

„ადეკვატური სანიტარიისა და ჰიგიენის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალებისა და გოგონების საჭიროებებს“.

რა მდგომარობაა საქართველოში

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო თუ პოლიტიკური რეფორმების კუთხით და ამით ასრულებს ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ძალიან დაბალია ქალთა მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, დაბალია ჩართულობა ბიზნესში, ქალები მამაკაცზე ნაკლებს გამოიმუშავენ და ა.შ. მოდით, გადავხედოთ სფეროებს, სადაც გენდერული უთანასწორობა განსაკუთრებით აშკარაა.

1. გადაწყვეტილების მიღება, პოლიტიკა

საქართველოში ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალიან დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესდა, ქალები პარლამენტში მხოლოდ 16%-ს, ხოლო საკრებულოში - 13.4%-ს შეადგენენ. ევროპისა და ეუთოს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებში ქალთა საშუალო რაოდენობა 27.5%-ია. გარდა ამისა, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში 9 გუბერნატორიდან არცერთი არის ქალი, 5 თვითმმართველი ქალაქის ყველა მერი მამაკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის 59 მერს შორის მხოლოდ 1 ქალია⁹.

იცით თუ არა, რომ არსებობს კორელაცია (კავშირი) ქალი კანონმდებლების პროცენტულ მაჩვენებელსა და საზოგადოებისთვის სასარგებლო კანონების რაოდენობას შორის? როგორც ჩანს, რაც მეტია ქალი კანონმდებლების რიცხვი, მით მეტია ამგვარი სასარგებლო კანონების მიღების შემთხვევები.

სადისკუსიო თემა: რა სასარგებლო ცვლილებები შეიძლება მოყვეს ქალთა რაოდენობის გაზრდას ხელისუფლებაში ?

2. განათლება

თანაფარდობა გოგონებსა და ვაჟებს შორის საჯარო/სახელმწიფო და კერძო სასწავლებელში მცირედით ავლენს ვაჟთა უპირატესობას. ასე მაგალითად, საჯარო სკოლაში მოსწავლეთა 48% გოგონაა, ხოლო 52% - ვაჟი, კერძო სკოლაში - 45% გოგონა, ხოლო 55% ვაჟია. უმაღლეს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანაფარდობა გოგონებსა და ვაჟებს შორის სულაც 52/48 არის, როცა კერძოში პირიქითაა - 48 გოგონა, ხოლო 52% ვაჟია¹⁰.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში ქალებისთვის საკმაოდ მაღალია, თუმცა აღსანიშნავია, ზოგიერთი ტექნიკური დარგით გოგონათა ნაკლები დაინტერესება. მაგალითად, 2011 წლის მონაცემებით საინჟინრო და სამშენებლო ფაკულტეტებზე ჩარიცხულ გოგონათა რაოდენობა ბაკალავრიატზე საერთო რაოდენობის მხოლოდ 13.5%-ს შეადგენს, მაგისტრატურაზე კიდევ უფრო ნაკლებია, სულ რაღაც 1.1%¹¹.

⁹ გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ნაწილი 1, იანვარი, 2018 წელი

¹⁰ ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017 წელი

¹¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017

კიდევ ერთი და შეიძლება ითქვას - უმთავრესი პრობლემა განათლების მიღების შემდგომ პერიოდში იკვეთება, როდესაც ქალებს უჭირთ სამსახურის დაწყება, ხოლო მამაკაცებისთვის დასაქმება მართალია სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ქალებთან შედარებით მდგომარეობა რეალურად უკეთესია.

კითხვები და მინიშნებები მსჯელობისათვის:

- *მოდით, გავიხსენოთ სკოლის საგნები, რომლებიც გოგონებს მეტად აინტერესებთ და საგნები, რომლებიც ვაჟებს იტაცებთ. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა მათემატიკა გოგონასთვის და ვაჟისთვის ერთნაირად საინტერესო იყოს?*
- *რომელ პროფესიას ირჩევენ გოგონები და რომელს - ვაჟები? როგორ ფიქრობთ, რატომ არის ზოგიერთი პროფესია უფრო „მამაკაცური“ და შესაძლებელია თუ არა გოგონებიც ჩაერთონ მასში? თუ არა, რატომ?*

ჩაწერეთ რომელი პროფესია მიიჩნევა გოგონასთვის უფრო შესაფერისად, რომელი - ვაჟისთვის და რომელი ორივესთვის.

პროფესია	გოგონასთვის	ვაჟისთვის	ორივესთვის
მოცეკვავე			
ფეხბურთელი			
მასწავლებელი			
ექიმი			
მეხანძრე			
მალაროელი			
არქიტექტორი			

3. დასაქმება, ბიზნესი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ქალების საშუალო თვიური ხელფასი მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე მამაკაცების და მის მხოლოდ 61%-ს შეადგენს. ერთ-ერთი ახსნა ის შეიძლება იყოს, რომ მამაკაცებს უფრო ხშირად უკავიათ მმართველობითი (მენეჯერის) პოზიცია, რაც უფრო მაღალანაზღაურებადია.

სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციათა დამფუძნებლებიც უპირატესად მამაკაცები არიან: 64% მამაკაცია, 36% - ქალი, ანუ მხოლოდ ერთი მესამედია ქალი დამფუძნებელი. ხშირად ისეც ხდება, რომ ორგანიზაცია ქალის სახელზეა გაფორმებული და რეალურად მმართველი მაინც მამაკაცია.

რაც შეეხება საჯარო სამსახურს (მაგ. პოლიცია), აქაც უპირატესობა მამაკაცებს აქვთ, ქალი მხოლოდ 31%-ს შეადგენს. ისიც აღსანიშნავია, რომ აქედან მმართველობით პოზიციას სულ რაღაც ქალთა 22% იკავებს.

იცი თუ არა, რომ საქართველოს ინდუსტრიულ (წარმოება, ქარხნული პროცესების მართვა) სექტორში დასაქმებულთა უმეტესობა მამაკაცია? ქალები ძირითადად ადამიანთა რესურსების (ე.წ. HR) განყოფილებაში მუშაობენ და უშუალოდ პროდუქციის წარმოებაში ნაკლებად არიან ჩართულები.

სააზროვნო კითხვები და მინიშნებები:

- მოდით, წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, ხის მერქნის გადამამუშავებელი ქარხანა და მეორე მხრივ, კენკრის გადამამუშავებელი საწარმო. განვსაზღვროთ, თუ რა საწარმო პროცესები მიდის თითოეულ მათგანში; რამდენი ადამიანის დასაქმებაა შესაძლებელი, განვსაზღვროთ მათი როლი და ასევე, განვსაზღვროთ საქმიანობიდან გამომდინარე რამდენი ქალი და კაცი შეიძლება იყოს დასაქმებული და რა პოზიციებზე. საბოლოოდ მოდით, დავითვალოთ, რომელ საწარმოშია დაცული გენდერული ბალანსი უკეთ და ვიმსჯელოთ მიზეზებზე.

გარემოს დაცვა და გენდერი

გარემოს დაცვა საკმაოდ ფართო სფეროა და მხოლოდ ნარჩენების დახარისხებითა და დაცული ტერიტორიების დაარსებით როდი შემოიფარგლება. თუმცა, ჩამოთვლილი საკითხებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია! გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებიდან აღსანიშნავია ქიმიური ზემოქმედების შემცირება, წყლის რესურსების მართვა (მათ შორის სასწავლო დაწესებულებების სუფთა წყლით უზრუნველყოფა), კლიმატის ცვლილების შერბილება და მასთან ადაპტაცია, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილება, ტყის რესურსების მართვა და ა.შ.

ყველა ამ პროცესში ქალები და კაცები თანაბრად სულაც არ მონაწილეობენ. ასევე, გარემოს უარყოფით ზემოქმედებას ორივე სქესი ერთნაირად არ განიცდის. მოდით, ვნახოთ რა როლი აკისრიათ ქალებსა და მამაკაცებს გარემოს დაცვასთან ასოცირებულ სხვადასხვა დარგსა და აქტივობაში.

1. ქიმიური ზემოქმედება

ქიმიური ნივთიერებებით ზემოქმედების ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის გადანაწილებული საქმიანობა ქალსა და მამაკაცს შორის. მაგალითად, მაღაროებში, როგორც წესი, მამაკაცები არიან ტოქსიკური ზემოქმედების მსხვერპლნი, მაშინ, როდესაც შინამეურნეობის პირობებში ქალი უფრო მეტად განიცდის ქიმიური ნივთიერებების უარყოფით ზემოქმედებას. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ტოქსიკურ ქიმიურ მინარევებს შეიცავს სხვადასხვა საწმენდი, სარეცხი საშუალებები, პესტიციდები, საღებავი, წებო და სხვა მსგავსი ქიმიური მასალა, რომლებიც შინ ინახება და რომლებსაც უპირატესად ქალები იყენებენ. კიდევ ერთი პრობლემა, რაც უპირატესად ქალებზე ახდენს ზემოქმედებას, მყარი საწვავის (შეშის, ფიჩხის) გამონაბოლქვია, რომელსაც

სახლის გათბობისთვის და საკვების მომზადებისთვის იყენებენ დიასახლისები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (WHO), გაუნიავებელი მყარი საწვავის არასრული წვის შედეგად (სათანადო ვენტილაციის პირობების არ არსებობის გამო) გამოიყოფა ნახშირჟანგის (მზუთავი აირი - CO) დიდი მოცულობა, რაც წლიურად მსოფლიოში 2 მილიონი ადამიანის, უპირატესად კი ქალებისა და ბავშვების გარდაცვალების მიზეზია.¹²

2. ნარჩენების მართვა

გარდა იმისა, რომ ნარჩენების მართვა გლობალურ პრობლემად რჩება, უფრო მეტი სიმწვავით ის განვითარებად ქვეყნებში იჩენს თავს. ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს თავად ქალების და მამაკაცების როლების გადანაწილება ნარჩენების მართვის პროცესში. როგორც ჩანს, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვაში, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, სახლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენის გადაყრაში, ძირითადად, ქალები იღებენ მონაწილეობას - ნარჩენს იღებენ სანაგვედან, წმენდენ სანაგვე ყუთს, სახლიდან გააქვთ და ხშირად საკმაოდ შორ მანძილზე, რადგანაც ადგილობრივი მთავრობის მიერ დადგმული ნარჩენების შეგროვების კონტეინერი, რომელიც ქუჩაშია განთავსებული, შესაძლოა სახლიდან მოშორებით იდგეს. ეს ყველაფერი კი მათთვის არც თუ მარტივი (სიმძიმის აწევა, ხელით გატანა) შრომაა. მეორე მხრივ, უმეტესწილად მამაკაცები მუშაობენ კომპანიებში, რომლებიც ნარჩენების გატანაზე არიან პასუხისმგებელი და ასევე, ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხნებში.¹³

3. წყლის რესურსების მართვა

ქალები ხშირად მთავარ როლს თამაშობენ წყლის რესურსების მართვაში, რაც გულისხმობს ოჯახის წევრების წყლით უზრუნველყოფასა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. წყალი ასევე აუცილებელი რესურსია ბაღის, ბაღჩეულისა და ბოსტნის, ასევე, პირუტყვის მოსავლელად და ზოგადად, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობაში. ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებს, სოფლად, ძირითადად ქალები და გოგონები უძღვებიან.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, 2.8 მილიარდი ადამიანი მთელი მსოფლიოს გარშემო ცხოვრობს წყლით ღარიბ სოფელსა თუ პატარა ქალაქში.¹⁴ ამგვარ უწყლო გარემოში ცხოვრება მეტად ნეგატიურად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობასა და ყოფაზე - ისინი ვეღარ იღებენ მონაწილეობას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა აქტივობაში (პირუტყვის მოვლა, მოსავლის მორწყვა და სხვა), რომლებშიც წამყვანი როლი, ხშირად, ქალებს ეკუთვნით.

4. ენერგეტიკა და ენერგოეფექტიანობა

სოფლად ენერჯის წყაროდ ძირითადად ბუნებრივ რესურსებს (შემა, ფიჩხი) იყენებენ და ხშირად, მათ მოპოვებაში წამყვანი როლი ქალს ეკისრება. გარდა იმისა, რომ ქალს უწევს შეშის, ფიჩხის შეგროვება, მან ამ რესურსების გამოყენებით, ოჯახი უნდა უზრუნველყოს საკვებით და გათბობით. ბევრ ადგილას ქალებს არ მიუწვდებათ ხელი ტექნოლოგიებზე (ენერგოეფექტური ღუმელი, წყლის საქაჩი ტუმბო), რომლებიც მათ შრომას შეუმსუბუქებს. კიდევ ერთი პრობლემა ენერგოეფექტურობის საკითხებზე განათლების სიმწირე და ინფორმაციის არქონაა, რაც ქალებს

¹² UNDP: Gender&Environment resources: *Chemicals and Gender*, 2011

¹³ Sida: Gender and the environment, March 2016

¹⁴ Internaitonal Water Management Institute, www.iwmi.cgiar.org

გადაწყვეტილების მიღებაში (მაგალითად, გამოიყენონ ჩვეულებრივი თუ ენერგოეფექტური ღუმელი) უთუოდ დაეხმარებოდა. საკუთრივ, ენერგეტიკის სექტორში დასაქმებულთა უმეტესი ნაწილიც მამაკაცია, რაც ზღუდავს ქალების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

5. კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილება მსოფლიო გამოწვევაა, რომელიც სხვადასხვა სახის ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს ძალიან ბევრ სფეროზე და რა თქმა უნდა, თავად ადამიანების ჯანმრთელობაზე. გაეროს მონაცემების¹⁵ მიხედვით, ქალები და ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადები (მგრძობიარენი) არიან კლიმატის ცვლილების მიმართ. განვითარებად ქვეყნებში ქალები ძირითადად ბავშვებსა და მოხუცებს უვლიან და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საქმიანობს უთმობენ უდიდეს დროს, რის გამოც, არ აქვთ შესაძლებლობა გამოიმუშაონ ფული ან ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა ტექნოლოგიებთან, რომლებიც მათი ადაპტაციის უნარს ამაღლებდა. ასე მაგალითად, ბუნებრივი კატასტროფების დროს, რომელთა სიხშირე და სიმწვავე კლიმატის ცვლილების ფონზეც იზრდება: წარმოიდგინეთ, რომ წყალდიდობის დროს ქალებს ცურვის არცოდნის გამო უჭირთ სტიქიასთან გამკლავება და ევაკუაციისთვის გამოყოფილ დროს ძირითადად, ბავშვებისა და სხვა ნათესავებზე ზრუნვას ახმარენ.

გარდა ამისა, ქალები და გოგონები მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას სრულ საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებიან და შეიძლება არ ფლობდნენ ინფორმაციას, თუ როგორ გაუმკლავდნენ კლიმატის ცვლილების გამოწვევებს, მაგალითად როგორ მოიქცნენ თბური ტალღების (ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურის) დროს, რამდენად უკეთესია ენერგოეფექტური ღუმელის გამოყენება ტყის რესურსების (შეშა) დაზოგვის მიზნით და ა.შ.

გაერო ხაზგასმით აღნიშნავს გენდერული საკითხების გათვალისწინების აუცილებლობას კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე საპასუხოდ.

მიუხედავად ამისა, ეროვნულ და გლობალურ დონეზე, ამ მიმართულებაზე მომუშავე უწყებებში, ქალების წარმომადგენლობითობის საშუალო მაჩვენებელი 30%-ს ჩამოუვარდება.

6. ტყის რესურსები

მრავალი ოჯახის შემოსავალი დამოკიდებულია ტყის რესურსებზე. მთელი მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანი ტყეს შემოსავლის წყაროდ იყენებს. განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის მიერ ტყის რესურსების მოხმარების და ასევე, ტყისთვის მიყენებული ზიანის ხარისხიც. როგორც კვლევებმა აჩვენა, მამაკაცი გაცილებით მეტ ზიანს აყენებს ტყეს, ვიდრე ქალი. მამაკაცი საწვავად მსხვილ ხეებს ჩეხს, ქალთა უმრავლესობა ფიჩხის და ტყის არამერქნული რესურსების შეგროვებით კმაყოფილდება. ქალი უფრო მეტად ტყიდან იღებს ისეთ სარგებელს, როგორიცაა სხვადასხვა სახის საკვები: ხილი, კენკრა, სოკო, თაფლი და სამკურნალო მცენარეები. ტყის ნობათის ნაწილს ოჯახი შესაძლოა თავად იყენებდეს ან ისიც შეიძლება ქალმა შემოსავლის მიღების წყაროდ გამოიყენოს ეს პროდუქტები. ამდენად, ტყე წარმოადგენს როგორც საკვების, ასევე საწვავისა და შემოსავლის წყაროს. შესაბამისად, ტყის

¹⁵ http://www.un.org/womenwatch/feature/climate_change/factsheet.html

გაჩეხვა და ბიომრავალფეროვნების შემცირება ნეგატიურად აისახება ოჯახის კეთილდღეობაზე - თავს იჩენს საკვების, საწვავის დეფიციტი და მცირდება შემოსავლის წყაროც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შეშის წვა მეტად ნეგატიურად აისახება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. როგორც კვლევებმა აჩვენა, მყარი საწვავის გამოყენების შედეგად ჰაერში გამოიყოფა წვის პროდუქტები, რომლებიც იწვევენ სასუნთქი სისტემის ორგანოთა დაავადებებს. ამასთან, ყველაზე მეტად დაბინძურებული ჰაერის მიზეზით ავადობენ ქალები და ბავშვები - ოჯახის ის წევრები, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას გათბობის უზრუნველყოფაში, საკვების მომზადებაში და რაღა თქმა უნდა, ყველაზე ხანგრძლივად იმყოფებიან შინ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქალს, ზოგადად, მიწით სარგებლობის უფლება და ტყეზე ხელმისაწვდომობა მამაკაცთან შედარებით ნაკლებად აქვს. ასევე, ქალები ნაკლებად არიან ჩართულები ტყის მართვისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა საერთაშორისო კვლევამ დაამტკიცა ქალთა მონაწილეობის დადებითი ეფექტი მდგრადობის, განახლებისა და კონფლიქტების მართვის მიმართულებით.¹⁶

იცი თუ არა, რომ მსოფლიოში 2 მილიარდზე მეტი ოჯახი დამოკიდებულია ტყის რესურსებზე და საწვავად შეშას იყენებს? (წყარო: Fao.org) ეს ძირითადად დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს ეხება, რომლებიც ქალაქიდან მოშორებით ცხოვრობენ.

როგორ შეცვალოთ რეალობა

როგორ ფიქრობთ, რა უნდა შეიცვალოს იმისთვის, რომ ქალთა და მამაკაცთა ჩართულობა გარემოს დაცვის საკითხებში თანაბარი იყოს? ამ საკითხზე მუშაობა შემდეგი ნაბიჯების გადადგმით შეიძლება:

- თქვენს თემში კვლევის ჩატარება გენდერის თემაზე სპეციფიკური კითხვარის გამოყენებით;
- გოგონათა და ვაჟთა განათლება, მათთვის გენდერის საკითხებზე მეტი ინფორმაციის მიწოდება, თანატოლებთან, პედაგოგებთან ან თემის სხვა წევრებთან გენდერის საკითხების დისკუსიის წახალისება (ჯგუფური დისკუსიები), ცოცხალი მაგალითების გარჩევა;
- გარემოს დაცვის საკითხებზე დისკუსიების მოწყობა და ამ დისკუსიებში გოგონების ჩართულობის გაზრდა.

არსებობს არაერთი შესაძლებლობა, რომელიც საზოგადოებას პრობლემის იდენტიფიცირებაში, უკეთ აღქმასა და მათ გადაჭრაში დაეხმარება. ამაში განსაკუთრებული როლი ენიჭება მთავრობას, არასამთავრობო სექტორს, აღმზრდელებს, ოჯახს და რაც მთავარია, თქვენს თანატოლებს. განსაკუთრებული როლი ენიჭება შენ, ვინც ყველა საჭირო ინფორმაციას ფლობ და უკვე შეგიძლია იყო შენი თემის ცვლილების ლიდერი.

¹⁶ Center of International Forestry Research, <http://www.cifor.org/forests-and-gender>

დანართი N1

თამაში „ჭეშმარიტი თუ მცდარი“ - პასუხები

1. 2015 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს პარლამენტში ქალები ფლობენ მანდატთა მხოლოდ 11%-ს;
2. გამოკითხულთა 88% ფიქრობს, რომ კაცი უნდა იყოს ოჯახის მარჩენალი. ქალების 62% და კაცების მხოლოდ 37% მიიჩნევს, რომ ქალი და კაცი თანაბრად უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებას ოჯახში;
3. ქართველ ქალთა 35% და მამაკათა 54% დარწმუნებულია, რომ ოჯახის შენარჩუნების მიზნით ცოლი ვალდებულია მოითმინოს მეუღლის მხრიდან დამცირება. ქართველთა 78% მიაჩნია, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევები ოჯახური საკითხია და საჯაროდ არ უნდა განიხილებოდეს;
4. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში, გოგონათა 92% და ბიჭების 92.1% არის სკოლის მოსწავლე;
5. 2015 წლის სტატისტიკის მიხედვით, ახალგაზრდა გოგონათა 43.7% აგრძელებს სწავლას რაიმე სახის უმაღლეს სასწავლებელში, მაშინ როცა ვაჟთა მხოლოდ 34.8% იღებს უმაღლეს განათლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხომერიკი ლელა. გენდერი და პოლიტიკა : ინტენსიური სემინარი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006
2. ლგბტ ჟურნალისტიკაში, ავტ. შორენა გაბუნია, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“, თბილისი, 2013
3. გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (V4) გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (Eap); ევროინტეგრაციის გზაზე გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული პოლიტიკა და საერთაშორისო ვალდებულებები; საქართველოს და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება; 2015; მია კუპრავა-შარვაშიძე
4. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ნაწილი 1, იანვარი, 2018 წელი
5. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017 წელი
6. Sida: Gender and the environment, March 2016
7. UNDP: Gender&Environment resources: *Chemicals and Gender*, 2011
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge
9. Internaitonal Water Management Institute, www.iwmi.cgiar.org
10. Center of International Forestry Research, [http:// www.cifor.org/forests-and-gender](http://www.cifor.org/forests-and-gender)
11. <http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/kanonmdebloba/erovnuli-dokumentebi-wom>
12. <http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/kanonmdebloba/erovnuli-dokumentebi-wom>
13. <http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/kanonmdebloba/erovnuli-dokumentebi-wom>
14. <http://www.ombudsman.ge/ge/Human-Rights/erovnuli-kanonmdebloba>
15. <http://www.ombudsman.ge/ge/Human-Rights/erovnuli-kanonmdebloba>
16. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1080890>

კითხვარი გენდერის საკითხებზე

მოდით, გენდერულ თანასწორობაზე ვისაუბროთ

მოდით, თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ გენდერულ თანასწორობაზე საუბარი არამც თუ სასურველი, საჭიროც კი არის. თქვენ ამ მხრივ ძალიან გაგიმართლათ - თანამედროვე მოზარდები ხშირად საუბრობენ გენდერზე, აკრიტიკებენ გენდერულ უთანასწორობას, დისკუსიას მართავენ გენდერულ ნორმებზე, რომელიც მსოფლიოში თუ ქართულ რეალობაში შეინიშნება.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერზე ბევრს საუბრობენ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც კი იცის მისი რეალური მნიშვნელობა. ბევრი გენდერულ თანასწორობას ქალთა უპირატესობის სურვილად მიიჩნევს, ბევრი კი უფრო შორს მიდის და მამაკაცის სქესის და „მამაკაცურობის“ დაკნინებად აღიქვამს. ისეთებიც მრავლად არიან, ვისაც საერთოდ არ სურს ამ საკითხზე საუბარი.

სანამ გენდერზე საუბარს შეუდგებით, ალბათ საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა წარმოდგენა აქვს საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფს გენდერული ნორმების შესახებ. ამის გამორკვევა კი მარტივ ენაზე შედგენილი კითხვარით არის შესაძლებელი, რომელიც წარმოდგენას შეგიქმნით თუ რას ფიქრობენ თქვენს გვერდით მცხოვრები ადამიანები გენდერულ თანასწორობაზე, ან რამდენად არის დაინტერესებული თქვენი პედაგოგი ამ საკითხით. კითხვარი იმაშიც დაგეხმარებათ გაერკვეთ, საერთოდ აინტერესებს კი თქვენს გარშემო მყოფ ადამიანებს გენდერზე საუბარი...

ამდენად, რესპონდენტად შეგიძლიათ აარჩიოთ ნებისმიერი, თუნდაც კლასელი, მეგობარი, მშობლები, პედაგოგები, რომელიმე სხვა კონკრეტული პროფესიის ადამიანები (პოლიციელი? ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი? ექიმი? გარემოს დაცვის სფეროს წარმომადგენელი?)... არჩევანი თქვენზეა!

კითხვარი დაგეხმარებათ თავი მოუყაროთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას და შემდეგ გაანალიზოთ ის. შემდეგ ეტაპად კი მოუყვით მეტი თქვენს უკვე ყოფილ რესპოდენტებს გენდერის შესახებ. აი, ამაში კი სპეციალურად თქვენთვის შემუშავებული სახელმძღვანელო და პრეზენტაცია დაგეხმარებათ.

დაიხსომეთ: იმისთვის, რომ რესპოდენტი გამოკითხვაზე დაიყოლიოთ, სასურველია თქვენს შორის „ყინული გააღლოთ“ და რესპოდენტს ცოტა თქვენსა და თქვენი ინიციატივის (თუ რატომ ატარებთ გამოკითხვას და რა მნიშვნელობა ექნება რესპოდენტის პასუხებს კვლევის შედეგისთვის) შესახებ მოუთხროთ.

კითხვარი სამი ნაწილისგან, სამი განსხვავებული ტიპის კითხვებისგან შედგება. ყველა მათგანზე პასუხის მიღება აუცილებელია. აქვე გაითვალისწინეთ, რომ ღია შეკითხვაზე

(მოითხოვს განმარტებას, სრულ პასუხს) პასუხი უმჯობესია იყოს ძალიან მოკლე და კონკრეტული, რაც საბოლოო ანალიზის გაკეთებას გაგვიადვილებთ.

I. კი, არა, არ ვიცი

შეცადეთ ყველა შეკითხვაზე მიიღოთ დადებითი ან უარყოფითი პასუხი, და ასევე, მიეცით რესპოდენტს საშუალება გააკეთოს კომენტარიც, თუკი მას ამის სურვილი ექნება.

#	შეკითხვა	კი	არა	არ ვიცი	კომენტარი
1	გსმენიათ რამე გენდერული თანასწორობის შესახებ?				
2	ფიქრობთ, რომ გენდერული თანასწორობა აქტუალური საკითხია ქართული საზოგადოებისთვის?				
3	ფიქრობთ, რომ გენდერული თანასწორობა ის თემაა, რომელზეც ბევრი საუბრობს?				
4	ფიქრობთ, რომ გენდერული თანასწორობა კიდევ უფრო აქტიური განხილვის თემა უნდა გახდეს?				
5	ხშირად საუბრობთ თქვენს თემში (კლასში, მეგობრებთან, კოლეგებთან) გენდერის საკითხებზე?				
6	თვლით, რომ თქვენს თემში (ან კლასში...) ბევრი არ ფლობს ინფორმაციას გენდერისა და გენდერული უთანასწორობის/თანასწორობის შესახებ?				
7	ფიქრობთ, რომ ქალებს და გოგონებს აინტერესებთ გენდერის თემა?				
8	ფიქრობთ, რომ მამაკაცებს და ვაჟებს აინტერესებთ გენდერის თემა?				

#	შეკითხვა	კი	არა	არ ვიცი	კომენტარი
9	შეგინიშნავთ, რომ არსებობს პროფესიები, სადაც გენდერული უთანასწორობა მკვეთრადაა გამოხატული? (მაგ. არსებობს „ქალური“ და „მამაკაცური“ პროფესიები)				
10	ენდობით პოლიციელს, თუ ის ქალბატონია?				
11	უნდა ქონდეს თუ არა ქალსა და მამაკაცს თანაბარი შანსები თავიანთი პოტენციალის რეალიზაციისთვის, მაგ. მიიღონ განათლება, დაიწყონ სამსახური, იყოლიონ შვილები?				
12	ფიქრობთ, რომ გენდერული უთანასწორობა ყველა ასაკში იჩენს თავს?				
13	ფიქრობთ, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში მიიღებს ადამიანი ინფორმაციას გენდერის შესახებ, მით უკეთესია?				
14	ფიქრობთ, რომ გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია (ჩაგვრა) ძირითადად ქალთა მიმართ გამოიყენება?				
15	ფიქრობთ, რომ გენდერული უთანასწორობის საკითხი პოლიტიკოსების გადასაწყვეტია?				
16	ფიქრობთ, რომ გენდერული უთანასწორობის საკითხი ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების გადასაწყვეტია?				
17	ფიქრობთ, რომ გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაში საზოგადოების ყველა წევრს თავისი როლი აკისრია?				
18	ისურვებდით თუ არა მეტი ინფორმაცია მიიღოთ გენდერული უთანასწორობის შესახებ?				
19	ისურვებდით თუ არა ჩაებათ იმ აქტივობებში, რომელიც				

#	შეკითხვა	კი	არა	არ ვიცი	კომენტარი
	გენდერული თანასწორობისკენ იქნება მიმართული?				
20	ისურვებდით თუ არა უფრო ღიად და ხშირად ჩაებათ დისკუსიებში გენდერული თანასწორობის შესახებ?				

II. რას ფიქრობთ გენდერის შესახებ

შეეცადეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე მიიღოთ მოკლე, თუმცა კონკრეტული პასუხი.

1. რას წარმოადგენს თქვენთვის გენდერული თანასწორობა?

2. როგორ ფიქრობთ, გენდერული თანასწორობა თანაბრად ეხება ორივე სქესს თუ მხოლოდ ქალთა უფლებებთან ასოცირდება?

3. რამდენად ხშირად ხართ გენდერული უთანასწორობის მოწმე?

4. ყველაზე ხშირად რა სახის უთანასწორობას შესწრებიხართ? თუ თავად არ შესწრებიხართ, გსმენიათ?

5. რას წარმოადგენს თქვენთვის გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია?

6. თქვენი აზრით, ჩვენს რეალობაში რომელი სქესის წარმომადგენელია უპირატესად გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი?

7. რას წარმოადგენს თქვენთვის გენდერული სტერეოტიპები?

8. რა სახის გენდერულ სტერეოტიპებს აწყდებით ყველაზე მეტად?

9. როგორ ფიქრობთ, რა უწყობს ხელს გენდერული სტერეოტიპების მსხვერველს?

10. რომელი პროფესიები გახსენდებათ, სადაც გენდერული დისბალანსი მკვეთრადაა გამოხატული?

11. თქვენი აზრით, ფიზიკური აღზრდის პედაგოგი მამაკაცი უნდა იყოს თუ ქალი?

12. როგორ ფიქრობთ, ქალი და მამაკაცი ბიზნესში თანაბრად უნდა იყოს ჩართული?

13. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკა ქალის საქმეა თუ მამაკაცის? თუ, ორივესი?

14. როგორ ფიქრობთ, ვინ არის პასუხისმგებელი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე საზოგადოებაში?

15. რა როლი ენიჭება საგანმანათლებლო დაწესებულებებს გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით?

16. რომელი ასაკიდან არის უმჯობესი გენდერული განათლების მიღება?

17. რამდენად თავისუფლად საუბრობენ თქვენი ოჯახის წევრები გენდერულ უთანასწორობაზე?

18. რამდენად აინტერესებთ თქვენს მეგობრებს გენდერის საკითხი?

19. თქვენი მოსაზრებით, რამდენად სათანადოდ შუქდება გენდერის საკითხი მას. მედიის სხვა საშუალებებით, ძირითადად ტელევიზიით?

20. ფიქრობთ, რომ გენდერზე საუბრისთვის თავის არიდება ინფორმაციის უქონლობით არის გამოწვეული? სხვა რა მიზეზები შეიძლება არსებობდეს?

III. გენდერული პრობლემის იდენტიფიკაციის შკალა

გთხოვთ, პრობლემა, რომელსაც თქვენს თემში ხედავთ შეაფასოთ 1-დან 5-მდე. 1- პრობლემა არ არის, 2-პრობლემა უმნიშვნელოდ იკვეთება, 3-პრობლემა იკვეთება, 4- პრობლემა მნიშვნელოვანია, 5-პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანია.

1. გენდერული უთანასწორობა განათლების, სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო იჩენს თავს.

1 2 3 4 5

2. გენდერის საკითხებზე საუბარს პედაგოგები თავს არიდებენ.

1 2 3 4 5

3. გენდერული სტერეოტიპები ღრმად არის გამჯდარი და მათთან ბრძოლა საკმაოდ რთულია.

1 2 3 4 5

4. გენდერული დისბალანსი ოჯახებში იჩენს თავს: ვაჟებს მეტი ყურადღება ექცევათ, ვიდრე გოგონებს.

1 2 3 4 5

5. გენდერის საკითხებზე დისკუსია ახალგაზრდებში ფაქტობრივად არ შეინიშნება.

1 2 3 4 5

6. ვაჟებს არ აინტერესებთ პრობლემები, რომლებიც ქალებს ეხებათ.

1 2 3 4 5

7. მამაკაცი ითვლება ოჯახის მმართველად, რომელსაც ქალი ემორჩილება.

1 2 3 4 5

8. ქალისთვის უმაღლესი განათლების მიღება აუცილებელი სულაც არ არის.

1 2 3 4 5

9. გენდერული ნიშნით ძალადობის პრობლემები (მაგ. ქმარი ცოლზე ძალადობს) ოჯახშივე რჩება.

1 2 3 4 5

10. მთავრობების (მათ შორის ადგილობრივი) მიერ გენდერული საკითხების განხილვისას და პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავებისას ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, ჩართულობა არ ხდება.

1 2 3 4 5